


ახალი თაობა



akhaitaoba.ge

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი ცისკარა ტოხოსაშვილი დააკავეს



გვ.5

პარასკევი, 9 დეკემბერი, 2022

№243 (9021)

ფასი: 80 თეთრი

„მიზან პროცესზე ახალი არაფერი მოხდება. ეჭვი გაქვს, არ გადაიყვანენ“

თორნიკე შარაშენიძე: „მისი გუნდი მიზანს სახელით ძალიან ცუდად თამაშობს“



„მიხეილ სააკაშვილი განათავისუფლებელია. პრტიანი ფრონტია ჩამოსაყალიბებელი!“



გიორგი ვაშაძე:
„არც გაბედონ ამის გაფიქრება! როგორ შეიძლება, მხდალებმა გმირებს ჩამოართვან მოქალაქეობა?!“

„ვერავის ვერ დავუშლით წასვლას, ვისაც სურვილი აქვს, რომ წავიდეს და იომოს რუსეთის წინააღმდეგ. ფულს თუ იღებენ, ამაშიც არაფერი დასაძრახი არ არის. ყველა ჯარისკაცი იღებს ფულს, ელემენტარულად ოჯახი რომ შიმშილით არ მოუკვდეს“

ამირან სალუქვაძე:
„ჩვენ უკრაინას არ ვაყვედრით, ჰუმანიტარული კუთხით დახმარების პრობლემა არ გვქონია“



„ერთი ფუნთ პარლამენტის დარბაზებში იყო და მეორით — ბარბაკალებზე, არ გამოვა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს სურს, 2030 წლამდე ხელისუფლებაში იყოს და ასეც მოხდება, თუ ოპოზიცია გაუნძრევლად იქნება“



„ნათო უკრაინას უსასყიდლოდ არ ეხმარება, ჩვეულებრივად მიმდინარეობს იარაღის მიყიდვა“

„რუსეთის დღევანდელი რეჟიმი უფრო რავრანულია, ვიდრე მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო“


„მასობრივი პროტესტის დასაწყებად ყველამ უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება სუსტდება“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი TAV Airports-ის პრეზიდენტს შეხვდა



პრემიერ-მინისტრი საქართველოში ეპროკავშირის სადაამპირვაბლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა



5 აღმოკატი: „თუ სააკაშვილი ვერ შეძლებს სასამართლოზე დანერგვას, დავაყენებთ შუამდგომლობას, სასამართლო თავად მოვიღოს კლინიკაში“

2 ნიკა გვარამია: „ამ დღეს ისა ვერ გავაზარებდი, რომ არაფერი მეთქვა“

5 სეაბა, რომლითაც ორგანიზებული ჯგუფი სამი მსხვილი საერთაშორისო კომპანიის თანხას დაუფლა

6 რატომ არის პუტინთან დიალოგი შეუძლებელი



„მიხეილ სააკაშვილი გასათავისუფლებელია. პარტიანი ფრონტი ჩამოსაყალიბებელი!“

გიორგი ვაშაძე: „არც გაბედონ ამის გაფიქრება! როგორ შეიძლება, მხდალებმა გმირებს ჩამოართვან მოქალაქეობა?“



ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, მიხეილ სააკაშვილის პროცესის წინ ნაციონალურ მოძრაობას შეხვედით. რა იყო ამ შეხვედრის მიზანი და რაზე შეჯერდით?

– პირველი არის ის, რომ მიხეილ სააკაშვილი გასათავისუფლებელია; მეორე – ჩვენ შევთანხმდით, რომ ამისთვის სრული კოორდინაცია გვექნება; მესამე – ჩვენ ასევე დავლაპარაკებთ სხვა ოპოზიციურ პარტიებს, ჩვენ სამი, რომ ისინიც ჩავართოთ ამ პროცესში; მეოთხე – ყველა ჩვენი ქმედება და ნაბიჯი იქნება პირდაპირპროპორციული იმ ნაბიჯებისა, რომლებსაც გადადგამს ხელისუფლება სააკუთარი კონტროლირებადი სასამართლოს მეშ-



ვეობით, ანუ ყველაფერი არის მათ ხელში. ჩვენ ვიქნებით ამაზე კოორდინირებული და ბოლოს ოჯახთანაც გვექნება კომუნიკაცია, რომ მათი პოზიციაც გავიგოთ.

– სასამართლოს მხრიდან რას ელით, მით უმეტეს, პრემიერის გუშინდელი განცხადებების შემდეგ?

– ნეგატივის, თუმცა ერთადერთი, რაც მათ შეაშინებთ, აქვთა მხარეს არის ერთიანობა და ამ ერთიანობის ყოველთვის ემინათ. სწორედ ამიტომ გადავდგით ეს ნაბიჯი. ჩვენი ინიციატივით მოხდა ეს შეხვედრა ნაციონალურ მოძრაობაში და ზუსტად ამ ტიპის ერთიანობაზე ვამბობთ, როცა ვსაუბრობთ იმაზე, რომ ერთიანი ფრონტი ჩამოსაყალიბებელი პროცესი უნდა იყოს.

– შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის საკითხის გარშემო ერთიანდებით?

– ძლიერი საქართველოს იდეის გარშემო ერთიანდებით, რომლის ნაწილიც არის სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი, რა თქმა უნდა.

– ბატონო გიორგი, ასევე უნდა გკითხოთ უკრაინაში წასულ ქართველ მებრძოლებთან დაკავშირებით. რატომ აგორდა ასეთი ცუდი კამპანია ხელისუფლების მხრიდან?

– იმიტომ, რომ ეს ადამიანები არიან პრორუსი, მხდელი მოლატეები! როგორ შეიძლება, ჩვენს გმირებზე ასეთი ბინძური, ანტიპატრიოტული, ანტიქართული კამპანიის აგორება. გუშინ საერთოდ იქამდე მივიდნენ, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევით დაემუქრნენ ამ ადამიანებს და დღესაც იმავეს აგრძელებენ. როგორ შეიძლება, მხდალებმა გმირებს ჩამოართვან მოქალაქეობა?! არც გაბედონ ამის გაფიქრება, იმიტომ, რომ ძალიან მძიმე დღე ექნებათ ჩვენგან და ყველა პატრიოტის მხრიდან. ნუ აშანტაჟებენ, ნუ აშინებენ ამ ადამიანებს და ნუ ავლენენ საკუთარ მოლატეობრივ ხასიათს. არც ეცადონ, არ გაბედონ ამის გაკეთება!



„ღვიბთისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველ-ი და „საქართველოს“ ლიდერი, „ახალი თაობის“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პრიციპებსზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ლაშა, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ ბევრი იქნება დამოკიდებული.

„ერთი ფრთით პარლამენტის დერაფტებში იყო და მეორით – ბარიკადაზე, არ გამოვა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილს სურს, 2030 წლამდე ხელისუფლებაში იყოს და ასეც მოხდება, თუ ოპოზიცია გაუნძრევლად იქნება“

ისინი მზად არიან რადიკალური ქმედებებისთვისაც. რამდენად შეძლებს ოპოზიცია ხალხის ქუჩაში გამოყვანას?

– თუ სწორი მოთხოვნები იქნება, თუ ოპოზიცია არ დაუშვებს შეცდომებს, თუ ხალხი იქნება ჩართული მთელ ამ პროცესში, მაშინ, რა თქმა უნდა, გამოვა. საზოგადოება აუცილებლად გააქტიურდება, რადგან ცალსახაა, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეების 80-90 პროცენტს არსებული ხელისუფლება არ უნდა. ეს არის რეალობა, როგორც არ უნდა წარმოაჩინონ ის ირაკლი კობახიძე ან ირაკლი ლარიაშვილი.

– თუმცა სოციოლოგიური კვლევები საზოგადოების ნიშლისტურ განწყობებზე, ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობის მერყეობაზეც საუბრობს.

– დიხს, ეს სწორია, მაგრამ ეს არის იმ შეცდომების დამსახურება, რომლებიც ოპოზიცია დაუშვა, როდესაც გაყალბებულ პარლამენტში შევიდა და გამომწვევებულ ივანიშვილს შემოსვლაში დაეხმარა. ახლა უფრო მეტი ძალისხმევა დასჭირდება ოპოზიციას იმისთვის, რომ დაკარგული ნდობა დაიბრუნოს.

– რამდენად შეძლებს?

– თუ პარლამენტიდან გამოვა და „ქართულ ოცნებას“ თავის ტყუილებთან მარტო დატოვებს, მაშინ შეძლებს. ეს იქნებოდა იმ მუხტისთვის აუცილებელი წინაპირობა, რომლის გარეშე მე ვერ წარმომიდგენია, ხალხი ისევ როგორ უნდა გააყვეს. კეთილი ინებონ და დატოვონ პარლამენტი. ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელია. ერთი ფრთით პარლამენტის დერაფტებში იყო და მეორით – ბარიკადაზე, არ გამოვა.

– საპარლამენტო ტრიბუნას ვიყენებთ.

– ამ ზღაპრებს ხალხს ნუ უყვებიან. ან რომელი კანონპროექტი გაიტანეს, ან რომელი სერიოზული გადაწყვეტილება მიიღებინეს „ქართულ ოცნებას“? ყველაფერი ნათელია. არაფერს ახალსა და უჩვეულოს არ აპირებს „ოცნება“. „ოცნება“ თამაშობს იმ თამაშს, რომლის უფლებაა ჩვენ, საზოგადოება, ოპოზიცია ვაძლევთ. ივანიშვილს სურს, 2030 წლამდე ხელისუფლებაში იყოს და ასეც მოხდება, თუ ოპოზიცია გაუნძრევლად იქნება.

– თქვენ სწორი მოთხოვნა ახსენეთ. რა უნდა იყოს მოთხოვნა?

– ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა უნდა იყოს ვადამდელი, რიგგარეშე, სამართლიანი არჩევნები.

– რამდენად არის ვადამდელი არჩევნების დანიშნვის საფუძველი? არ დანიშნავს.

– რას ჰქვია, არ დანიშნავს. ისეთებს დანიშნინებთ, „ქართული ოცნება“ რა მოსატანია მათთან. მიხეილ სააკაშვილმა დანიშნა ვადამდელი არჩევნები. ედუარდ შევარდნაძემ დანიშნა ვადამდელი არჩევნები. ესე-ნი ვინ არიან, რომ არ დანიშნონ. თუ არ დანიშნავენ, მიიღებენ დაუმორჩილებლობას, რუსთაველზე კარვების ქაღალდი, ძალიან რადიკალურ ქმედებებს და მერე თქვან, არ დანიშნავენ.

საზოგადოების მზაობაზე მკითხეთ. მე ხალხში ვმოძრაობ. ადამიანებს „ქართული ოცნება“ უკვე ყელში ამოუვიდათ. დამოუკიდებელ საქართველოს არ მყოფია ასე ღია პრორუსი ხელისუფლება, როგორც ესენი არიან. ამას უკვე აღარ მალავენ. ხალხის განწყობები საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით ურყეველია. ამ ქვეყნის 90 პროცენტს დასავლური კურსი, ევროპული და ჩრდილოატლანტიკური არჩევანი სრული-

ად შეგნებულად აქვს გაკეთებული.

საქართველოს ყოველთვიურად ასი ათასი ქართველი ტოვებს და სანაცვლოდ 100-200 ათასი რუსი შემოდის. ეს არის ამ ხელისუფლების პრორუსული პოლიტიკის დამსახურება. ამაზე ხომ უნდა არსებობდეს პასუხი. როგორ შეიძლება, ამას ვეგუებოდეთ. ეს საკითხიც უნდა იყოს იმ მიტინგებზე ერთ-ერთი წამყვანი. ქართველების მასობრივი ემიგრაციას არ შეიძლება ასე ვეგუებოდეთ. სიხარულით არავინ ტოვებს საკუთარ სამშობლოს, ოჯახებს, ამ გაუსაძლისი ცხოვრების გამო მიდიან ქვეყნიდან.

მე არ მჯერა, რომ ქართველი ხალხი იმ პოლიტიკის მომხრეა, რომელიც ხელისუფლებას რუსეთთან და უკრაინასთან მიმართებით აქვს ერთი მხრივ, სასეზვე რუსეთთან კოლაბორაციონიზმი და მეორე მხრივ უკრაინასთან მთელი მსოფლიოს თვალში შერცხვენილები ვართ. ამას შეუძლებელია ქართველი ხალხი ეგუებოდეს. ამიტომ, თუ სწორი პოზიციები ექნება ოპოზიციას, თუ სწორად დაგეგმავს და, რაც მთავარია, პარლამენტს დატოვებს, ხალხი აუცილებლად გამოვა ქუჩაში და თავის ძალასაც აჩვენებს.

პრაიმიერ-მინისტრი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ხელმძღვანელს მარეკ შჩიგელს შეხვდა.



გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე საუბარი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას შეეხო. მთავრობის მეთაურმა მარეკ შჩიგელს მისიის ეფექტური მუშაობისა და განეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. აღინიშნა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ახორციელებს დაძაბულობის ესკალაციის პრევენციას და ხელს უწყობს ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

საზი გაესვა, რომ EUMM ადგილზე წარმოდგენილი მონიტორინგის მანდატით ალჭურვილი ერთადერთი საერთაშორისო მისიაა.

აღინიშნა, რომ ევროკავშირის სხვა ღირებულ ინსტრუმენტებთან ერთად, სადამკვირვებლო მისიის ყოფნა საქართველოში ნათლად ასახავს ევროკავშირის მნიშვნელოვან როლს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან გამკლავებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების საქმეში. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პოლიტიკური მრჩეველი ჯორჯ სანდი ესწრებოდა.

ნიკა გვარამია: „ამ დღეს ისე ვერ გავაბრუნებ, რომ არაფერი მეთქვა“

მოქმედ სახალხო დამცველს ნინო ლომჯარიას დღეს უფლებამოსილების ვადა ეწურება. აღნიშნულს სოციალურ ქსელში ეხმაურება „მთავარი არხის“ დამფუძნებელი, პატიმრობაში მყოფი ნიკა გვარამია და ლომჯარიას მადლობას უხდის.

გვარამია მიმართავს ნუხილას გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ მისი დაცვის გამო, ომბუდსმენს უმძიმესი დარტყმებისა და შეურაცხყოფის გადატანა მოუხდა:

– ამ დღეს ისე ვერ გავაბრუნებ, რომ არაფერი მეთქვა.

დღეს საქართველოს ისტორიაში საუკეთესო სახალხო დამცველის და, უტყუარად, საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და კვალიფიციური სახელმწიფო მოხელის – ნინო ლომჯარიას უფლებამოსილების ბოლო დღეა.

ძალიან დიდი მადლობა მინდა მას გადავუხადო, პირველ რიგში, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც ამაყობს, რომ მის ქვეყანას, შინ და გარეთ, 6 წლის მანძილზე, გამორჩეულად გულსხმიანი და უმაღლესი მსოფლიო კლასის მოღვაწე წარმოადგენდა.

მინდა მას მადლობა გადავუხადო, როგორც პოლიტიკტიმორმა – ალბათ, სახალხო დამცველის ყველაზე კარგი შემფასებელი სწორედ ისაა, ვისი დაცვაც რთული და, საქართველოს კონტექსტში, საშიშიცაა. მინდა მადლობა ვუთხრა ნინოს და ნუხილიც გამოვთქვა, რომ ჩემი დაცვის გამო უმძიმესი დარტყმებისა და შეურაცხყოფის გადატანა მოუხდა. თუმცა, რაც მეტი იყო წინააღმდეგობა, მით მეტი იყო ლომჯარიას შეუპოვრობა.

სამწუხაროა, რომ ქვეყანა ასეთ სახალხო დამცველს კარგავს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ნინო ლომჯარიას არ დაკარგავს და მას აუცილებლად ვიხილავთ (უნდა ვიხილოთ!) სხვა, ქვეყნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვან ადგილსა თუ ვითარებაში. ვულოცავ ნინოს სახალხო დამცველის უკიდურესად წარმატებულ კარიერას და ველოდები მისგან ახალ და კიდევ უფრო დიდ მიღწევებს ჩვენი სამშობლოს სამსახურში! ამას ვუსურვებ მასაც და ჩემს სამშობლოსაც! – აღნიშნულია ნიკა გვარამიას მიმართავში.



ახალი ამბები
გამოცემის
1993 წლის
23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოხო გოცინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
საინფორმაციო სამსახური – ვლარა ბლაღაძე
სარედაქციო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გარეკლების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი

გვებგვერდი: akhaliatoba.ge ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რევიზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს ატვირთს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

